საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა

2020

II კვარტალი

(წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)

19.08.2020

www.geostat.ge

19.08.2020

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2020 წლის II კვარტალი
(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის II კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 2.6 პროცენტით გაიზარდა და 1.0 მილიონი სული შეადგინა. აქედან, ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 471.2 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.4 პროცენტით მეტია.

ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 12.1 პროცენტით შემცირდა და 984.2 ათასი სული შეადგინა.

ღორის რაოდენობა 205.4 ათასი სულით განისაზღვრა, რაც 1.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 16.9 პროცენტით გაიზარდა და 12.5 მილიონ ფრთას მიაღწია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2014-2020 წლების II კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2014-2020 წლების II კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)



ცხვრისა და თხის სულადობა 2014-2020 წლების II კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2014-2020 წლების II კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)



*წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2014-2020 წლების II კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი ფრთა)



*წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის II კვარტალში რძის წარმოებამ 197.4 მილიონი ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით მეტია.

ხორცის წარმოებამ 16.3 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2019 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელზე 5.8 პროცენტით მეტია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 167.5 მილიონი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.4 პროცენტით ჩამორჩება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2020 წლების II კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა:

რძის წარმოება 2014-2020 წლების II კვარტალში
(მლნ. ლიტრი)



*წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2014-2020 წლების II კვარტალში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2014-2020 წლების II კვარტალში
(მლნ. ცალი)



*წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ექსპორტ-იმპორტის, ასევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები 2019-2020 წლების კვარტალების მიხედვით:

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2019-2020 წლებში კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)

	2019				2020*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	974.0	977.4	910.2	869.5	973.5	1 003.2
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	464.2	464.8	450.6	441.8	461.4	471.2
ღორი	178.8	201.7	230.2	155.5	168.3	205.4
ცხვარი და თხა	1 193.5	1 120.3	938.7	891.5	1 095.6	984.2
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 136.3	10 684.4	9 389.3	9 466.4	10 263.2	12 490.2

*წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2019-2020 წლებში
(ათასი სული)

	2019				2020*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	15.4	21.1	33.4	25.7	16.2	2.4
ღორი	-	-	-	-	-	-
ცხვარი და თხა	1.2	4.4	84.4	64.0	8.7	6.8
ფრინველი (ათასი ფრთა)	726.8	1 528.6	1 740.3	1 428.7	1 722.6	1 634.8

*წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2019-2020 წლებში
(ათასი სული)

	2019				2020*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.7	0.8	0.5	0.8	0.7	0.2
ღორი	7.3	5.1	10.2	8.6	7.8	11.2
ცხვარი და თხა	23.7	6.5	1.1	6.0	4.8	-
ფრინველი (ათასი ფრთა)	705.7	492.4	990.0	856.6	1 752.2	1 056.1

*წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2019-2020 წლებში

	2019				2020*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
ხორცი (ათასი ტონა)	17.3	15.4	15.7	21.1	16.2	16.3
რძე (მლნ. ლიტრი)	104.7	197.3	165.1	94.7	107.0	197.4
კვერცხი (მლნ. ცალი)	138.9	169.9	171.2	181.2	160.4	167.5

*წინასწარი მონაცემები.

19.08.2020

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენა არ არსებობს.

2020 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge